ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№1(117)
იანვარი
2024 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

სახელმწიფო დროშა თითოეული მოქალაქის საკუთრება და ღირსების სიმბოლოა

14 იანვარი – საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეა.

ქვეყნის ეროვნული სიმბოლოს პატივისცემის ნიშნად, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის წინ, სახელმწიფო ჰიმნის ფონზე, საქართველოს დროშა საზეიმოდ აღიმართა.

ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოს, ეროვნული დროშის დღე 2012 წლიდან სახალხოდ აღინიშნება.

ხუთჯვრიანი დროშა საქართველოს სახელმწიფო დროშად 2004 წლის 14 იანვარს გამოცხადდა, როდესაც საქართველოს პარლამენტმა „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი მიიღო. საქართველოს სახელმწიფო დროშის ხუთჯვრიანი კომპოზიცია მაცხოვრის და ოთხი მახარობლის სიმბოლური გამოსახულებაა.

„ეს დღე ეროვნული დღესასწაულია. სახელმწიფო დროშა თითოეული მოქალაქის, თითოეული ოჯახის საკუთრება და ღირსების სიმბოლოა. მოქალაქეებს მოგიწოდებთ, ავტომანქანებსა და სახლის სახურავებზე სახელმწიფო დროშები აღმართოთ ან დროშა ფანჯრიდან გადმოფინოთ. ეროვნულ დროშას დიდი ხნის ისტორია აქვს და ევროპულ რუკებზე საქართველოს უძველესი დროიდან ხუთჯვრიანი დროშით აღნიშნავდნენ.“ — ნათქვამია ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს განცხადებაში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობა დატოვა

ПРЕМИЕР-МИНИСТРАД ПРЕЗИДЕНТИ ИРАКЛИ ГОБАХИДЗИС ТАНДЕИДАТУРАСА УКРИС ТЕНГС

29 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გადადგომის შესახებ განაცხადა. მან ტელევიზიით მიმართა მოსახლეობას და გადაწყვეტილების მიზეზი განმარტა, ასევე, ისაუბრა სამომავლო გეგმებზე. კერძოდ, მან თქვა:

„ძვირფასო მეგობრებო, მსურს საზოგადოებას ვაცნობო გადაწყვეტილების შესახებ, რომელზეც გუნდთან ერთად ვიმსჯელეთ. დღეს მე ვტოვებ პრემიერ-მინისტრის თანამდებობას.

ნება მომეცით, მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ განვმარტო ამ გადაწყვეტილების მიზეზები. სულ ახლახან, გასული წლის ბოლოს, მე საზოგადოებას ჩავაბარე ვრცელი ანგარიში ჩემი სამწლიანი საქმიანობის შესახებ. მოგეხსენებათ, მთავრობის მეთაურის პოზიციაზე მეორე ვადით მუშაობა ურთულეს პერიოდში, შიდა თუ საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური კრიზისების პირობებში დავიწყე. მე პირნათლად ვემსახურე ჩვენს ქვეყანას, უკომპრომისოდ ვიცავდი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს და მე ვამაყობ შედეგებით, რომლებსაც ამ პერიოდში გუნდთან ერთად მივაღწიეთ.

„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში მე ორჯერ მომიწია ამ უმაღლეს თანამდებობაზე მუშაობა,

გაგრძელება მე-3 გვერდზე

2024 სიხარულის, სასწაულების წელი ყოფილიყოს! 5

სკოლაში გატარებული თითოეული დღე ბედნიერებაა 6

მინდა, ჩემმა აღზრდილებმა შეიგრძნონ გამარჯვების სიხარული, ჰქონდეთ მოტივაცია შემდგომი წარმატებებისთვის 7

ცხავატის მაცხოვრის ეკლესია – ჩვენი ეროვნული საგანძური 9

ფართოვდება ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალო მედიკამენტების პროგრამა

სიახლეები შეეხება: სოსიალურად დაუცველ პირებს, პენსიონერებს, ვეტერანებს, შშმ პირებსა და სხვებს

15 იანვარს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გამართულ მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 9 საკითხი განიხილეს.

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ფართოვდება ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალო მედიკამენტების პროგრამა.

კერძოდ, 15 იანვრიდან შესაბამისი კატეგორიის თუ სტატუსის მქონე მოქალაქეები გლაუკომის სამკურნალო მედიკამენტს მთელი წლის განმავლობაში სრული დაფინანსებით მიიღებენ.

ამასთან, შესაბამისი კატეგორიის ბენეფიციარებს მთელი წლის განმავლობაში სრულად დაუფინანსდებათ: გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის, ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკული დაავადებების; დიაბეტის (ტიპი 2); პარკინსონისა და ეპილეფსიის სამკურნალო მედიკამენტები.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში შესული სიახლეები შეეხება: სოციალურად დაუცველ პირებს (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს), პენსიონერებს, ვეტერანებს, შშმ პირებსა (შშმ ბავშვები, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები) და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა ასევე განიხილეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“. ცვლილების თანახმად, მიმდინარე წლის იანვრიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სოციალური პაკეტი 50 ლარით, 340-დან 390 ლარამდე იზრდება. ყველა სხვა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ფინანსური დახმარება 20 ლარით იზრდება, მათ შორის მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირს სოციალური პაკეტი 175-დან 195 ლარამდე ეზრდება. ბიუჯეტი დაახლოებით 46 მლნ ლარს შეადგენს. გაზრდილი სოციალური პაკეტით 123 000-ამდე ბენეფიციარი ისარგებლებს.

უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების ორწლიანი სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი 50 მილიონი ლარია

უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სამხარეო ადმინისტრაციაში, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის გაცნობა, რომლის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით, 1000-მდე ოჯახს სახელმწიფო ახალ საცხოვრებელ ფართებს გადასცემს.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ 1000-მდე სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომლებსაც 3 ან მეტი არასრულწლოვანი ჰყავთ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საცხოვრებელი ფართები გადაეცემათ.

პროგრამა 2025 წლის ბოლომდე გაგრძელდება და მისი ჯამური ბიუჯეტი 50 000 000 ლარს შეადგენს.

მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ სამუშაო შეხვედრას დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის მოადგილე ლევან დოლიძე, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გოჩა ქავთარაძე, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერების მოადგილეები და სააგენტოს სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობა დატოვა

პირველი გვერდიდან

ჯამში ყველაზე მეტ ხანს – 5 წელი ვიყავი პრემიერ-მინისტრი. ჩვენი პოლიტიკური გუნდის სიძლიერის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი არის შიდა დემოკრატია, რომლის ყველაზე მკაფიო გამოვლინება გახლავთ როტაციის პრინციპი – გუნდში მრავალი წარმატებული ლიდერია და საჭიროა, სხვებსაც მიეცეთ შესაძლებლობა; მით უმეტეს, რომ ახლა ახალი ამოცანების წინაშე ვდგავართ – შემოდგომაზე ახალ პარლამენტს ავირჩევთ და „ქართული ოცნება“ უნდა მოემზადოს არჩევნების დამაჯერებლად მოსაგებად, რათა გავაგრძელოთ წინსვლა სხვა, უფრო დიდი მიზნების მისაღწევად.

ამ პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, პოლიტსაბჭოსგან მივიღე შეთავაზება, დავიკავო პარტიის თავმჯდომარის თანამდებობა და ამასთან დაკავშირებით ყრილობა გაიმართება 1 თებერვალს. არ დაგიმალავთ, რომ პოლიტსაბჭოში განვიხილეთ შესაძლებლობაც, რომ თანამდებობაზე ზაფხულამდე, საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, დავრჩენილიყავი, თუმცა ვარჩიე, ახლა მიმეღო ეს გადაწყვეტილება – მნიშვნელოვანია, რომ შემდეგმა პრემიერმა დროულად წარადგინოს თავისი გუნდი და ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა. მე წარმატებებს ვუსურვებ ახალ პრემიერ-მინისტრს!

ჩემთვის კი დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, გავაგრძელო მუშაობა პარტიაში, აქტიური მონაწილეობა მივიღო საარჩევნო პროცესში და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის განვითარებაში.

პრემიერ-მინისტრად მუშაობისას გაწეული უდიდესი მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდი ჩვენი პარტიის დამფუძნებელს და საპატიო თავმჯდომარეს – ბატონ ბიძინა ივანიშვილს, პარტიისა და პარლამენტის ხელმძღვანელობას და წევრებს, სამინისტროების ხელმძღვანელებს და თითოეულ თანამშრომელს, მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლებს, ყველა საჯარო მოხელეს!

თანადგომისათვის განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეუღლეს, შვილებს, მშობლებს. იმედი მაქვს, ახლა მექნება შესაძლებლობა მეტი დრო დავუთმო ოჯახს.

მშვიდობას, კეთილდღეობასა და გაერთიანებას ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.“

საქართველოს კონსტიტუციის გათვალისწინებით, პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის შემთხვევაში, მთავრობა ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე მოვალეობის შესრულებას განაგრძობს.

თავად პრემიერ-მინისტრს უფლებამოსილება გადადგომისთანავე უწყდება.

თავის მხრივ, პარლამენტს ორი კვირის ვადა აქვს, რათა პრემიერ-მინისტრობის ახალ კანდიდატსა და მის მიერ წარდგენილ სამთავრობო გუნდსა და პროგრამას ნდობა გამოუცხადოს. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურის წარდგენის უფლებამოსილება კი არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პარტიას გააჩნია. ამ კონტექსტში, როგორც

დასასრული მე-4 გვერდზე

შეხვედრები საახალწლო საჩუქრებით

იანვარი ახალი წლის პირველი თვეა და საახალწლო მილოცვებთან, სტუმრიანობასთან, საჩუქრების გადაცემასთან ასოცირდება.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის, დიმიტრი ზურაბიშვილის ინიციატივით, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 1800 ოჯახს, საახალწლოდ სასურსათო პაკეტები გადაეცათ.

აღნიშნული დახმარების მიმღებნი არიან უკიდურესად გაჭირვებული, მრავალშვილიანი, მარტოხელა, მოხუცთა თავშესაფრის, უფასო სასადილოს და დღის ცენტრების: „იალონი“, „მომავლის რწმენა“, წილკნის და გალავნის მცირე საოჯახო, წეროვნის დღის ცენტრის ბენეფიციარები, უსინათლოები და ვეტერანები. თითოეული პაკეტი 14 დასახელების პროდუქტისგან შედგებოდა.

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი და გამგებლის მოადგილე ბონდო ყველაშვილი, მცხეთის მერთან დიმიტრი ზურაბიშვილთან ერთად საახალწლო ნობათებით დატვირთულნი ეწვივნენ წეროვნის, ფრეზეთის, წილკნის დევნილთა დასახლებებში მცხოვრებ ოჯახებს... პირადად გადასცეს საჩუქარი, გულთბილად ესაუბრნენ, მულოცეს ახალი წელი და სამახოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

სამუშაო შეხვედრა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა, მოადგილე ბონდო ყველაშვილთან ერთად, ადმინისტრაციის თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომლის ფარგლებში, განიხილეს სამომავლო გეგმები, იმსჯელეს განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ, არსებულ საჭიროებებზე და მათი მოგვარების გზებზე, ასევე შეთანხმდნენ კოორდინირებული მუშაობის გაგრძელებაზე.

დასასრულს შეაჯამეს გასული წლის შესრულებული სამუშაოები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თანამდებობა დატოვა

მე-3 გვერდიდან

ცნობილია, პარტია „ქართული ოცნების“ წესდებაში, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი გახდა საპატიო თავმჯდომარე, ცვლილება განხორციელდა, რომლის მიხედვით, პარტიის პოლიტიკური საბჭო პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას პარტიის საპატიო თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს. ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის – 76 დეპუტატის მხარდაჭერა.

ახალი პრემიერ-მინისტრი საკუთარ გუნდს, სავარაუდოდ, მას შემდეგ წარადგენს, რაც 1 თებერვალს პარტიის ყრილობაზე მხარდაჭერას მიიღებს და ოფიციალურად დასახელდება პრემიერობის კანდიდატად. პარტია “ქართული ოცნების” განმარტებით, გადაწყვეტილება სამთავრობო ცვლილებაზე 24 იანვარს პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომაზე მიიღეს.

სახელისუფლებო გუნდის თქმით, ცვლილებები ქვეყნის, ასევე პარტიის გაძლიერებას ემსახურება. “ქართულ ოცნებაში” ამბობენ, რომ გუნდს არაერთი პროფესიონალი კადრი ჰყავს, რომელიც საპასუხისმგებლო თანამდებობებს ღირსეულად გაუძღვება.

პროცედურის მიხედვით, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის პოლიტსაბჭოსთვის წარდგენის შემდეგ პროცესები საკანონმდებლო ორგანოში ინაცვლებს.

პარლამენტში გაიმართება კომიტეტის სხდომები, მთავრობის მეთაურობის კანდიდატი საკუთარ გუნდთან ერთად შეხვდება ოპოზიციასა და მმართველი ძალის წარმომადგენლებს, ამის შემდეგ საკითხი უკვე კენჭისყრაზე დგება. ირაკლი კობახიძე ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტს სწორედ ამ ყველა საფეხურის გავლის შემდეგ დაიკავებს.

რედაქტორის სვეტი

მიყვარს ფიქრი, მით უმეტეს, რაც ასაკი მემატება შეუბრალებლად, ოცნებაც მიყვარს და მრავალსართულიანადაც ვალაგებ ხოლმე, ნატვრასაც სად გაექცევა კაცი, იმედი ხომ მომავალს გვიჩირაღდნებს... ზოგჯერ ფიქრი, ნატვრა და ოცნება ისე ჰარმონიულად არის შერწყმული, სინამდვილეს უახლოვდება და აი, მაშინ კი მჯერა სასწაულების ახდენის...

მკითხველისთვის იმის თქმა მინდა, რომ ქველმოქმედისა და მეცენატის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებისთანავე ამეკვიატა აზრი, რომ სულ მალე დღის წესრიგში დადგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა გადაჭრაშიც თავად მიიღებს პირადად მონაწილეობას. ეს ჩემი (როგორც თითოეული ახალგორელის) ფიქრი კი არა, ნატვრა და სასწაულების მოხდენის ნათელი იმედია...

2023 წელს, რომელიც ახლახან გავაცილეთ, ადამიანს ქვის გული უნდა ჰქონოდა, რომ დაზაფრულს არ ედევნებინა თვალი რუსეთ-უკრაინის და პალესტინა-ისრაელის ომების შემზრავი ამბებისათვის... ღმერთია მოწმე, – ჩვენს ქვეყანას და მათ შორის ახალგორელებს, არც გულწრფელი სოლიდარობა დაგვიკლია და არც დახმარების ხელის გაწვდენა დაგვზარებია მოძმე უკრაინელებისათვის... ომი დღემდე გრძელდება, სამწუხაროდ... არც საქართველოში ეძინა ეშმაკს... მასთან დამეგობრებულებს კი უნდოდათ საქართველოშიც გაეხსნათ მეორე ფრონტი... ცეცხლი გიზგიზებდა ჩვენ გარშემო.... ღმერთმაც დაგვიფარა და სახელმწიფოს მეთაურებმაც ბეწვის ხიდზე გაგვატარეს, მშვიდობა შეგვინარჩუნეს, ეკონომიკური წინსვლაც გვქონდა, მსოფლიოც პატივისცემით გვეპყრობოდა, რადგანაც ყველა მიხვდა, რომ საქართველო გახდა ქვეყანა, რომელიც პირველ პლანზე თავისი ხალხის, ქვეყნის ინტერესებს აყენებს.

გასული წლის უმთავრესი მოვლენა კი, ჩვენი ქვეყნისთვის, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის მოპოვება იყო.

პოლიტიკა, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ეზიარა, მაგნიტივით იზიდავს ყველას... ყველა ყველაფერზე საუბრობს, მსჯელობს, აშკარად გამოხატავს რომელიმე პოლიტიკოსისადმი სიმპათიას ან ხაზს უსვამს მის ნეგატიურ მხარეს (ზოგჯერ დაუსაბუთებლადაც)... ახლაც ასეა, როცა მთავრობასა და სახელმწიფო ინსტანციებში რაიმე იცვლება. ბიძინა ივანიშვილი, ჩემი აზრით და ალბათ მკითხველთა უმრავლესობაც დამეთანხმება, პოლიტიკური ნიშნით დაბრუნდა. ახლა რთულ ეტაპს გადის მსოფლიოც და საქართველოც, იცვლება პოლიტიკური კონფიგურაციები, პოლიტიკური პოლუსები, ისევ მიდის გავლენის სფეროების გადანაწილება.

ბიძინა ივანიშვილი ჭკვიანი, სტრატეგიული აზროვნების ადამიანია. მისი სვლების გათვლა მე ნამდვილად არ შემიძლია, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ საქართველოს სამსახურშია და კარგად იცის, კონკრეტულ დროს სად უნდა იყოს, როდის გამოჩნდეს და როდის დადგეს ჩრდილში...

პ.ს. გაზეთი დასაბეჭდად იყო მზად, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს პრემიერ-მი-

2024 სიხარულის, სასწაულების წელი ყოფილიყოს!

ნუგზარ ფსუტურის სახელობის კულტურის სახლში საახალწლო საზეიმო კონცერტი გაიმართა. სწორედ ამ კონცერტის შესახებ დავიწყეთ საუბარი კულტურის სახლის ხელმძღვანელთან ბოგი ეკალაძესთან.

– ახალ წელს გილოცავთ. წარმატებები და საზეიმო კონცერტები დაგებედოთ...

– მადლობა. მეც გილოცავთ... ჩვენი კულტურის სახლის და საერთოდ, კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების /ხელმძღვანელი ეთერი ფსუტური/ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ძირითადი და პრიორიტეტული კონცერტია, მით უმეტეს, ძველი და ახალი წლების მიჯნაზე, რომლზეც სარკესავით ირეკლება, თუ რა გავაკეთეთ, როგორ მუშაობენ სხვადასხვა კულტმასობრივი წრეები, რა დამოკიდებულება და პასუხისმგებლობა გვაქვს მაყურებლის წინაშე და იმათ წინაშეც, ვინც გვენდობა, მოდის ჩვენთან მეცადინეობასა და რეპეტიციაზე და კმაყოფილია შედეგით. ეს ყოველივე კარგად გამოჩნდა საახალწლო კონცერტზეც, რომელიც გაიმართა კულტურის დაწესებულებების გაერთიანებისა და ახალგორის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ორგანიზებით. მასში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ფოლკლორული, ქორეოგრაფიული ანსამბლები, სპორტული სამეჯლისო ცეკვების სტუდია „წეროები“, წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეები...

დამსწრე საზოგადოებას ახალი წელი მიულოცეს: ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა, საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ ბალაშვილმა და კულტურის სამსახურის უფროსმა ნუგზარ ფსუტურმა.

რაც ჩვენთვის ძალზე პრიორიტეტულია, ახალგორელთა, ქსნის ხეობელთა, რომ იტყვიან სავიზიტო ბარათი – ანსამბლი „ლომისი“ კვლავ ფორმაშია. ეს არის ისტორიული ანსამბლი ქართული ხალხური, ფოლკლორული, პოლიფონიური სიმღერების რეპერტუარით. ძალიან ძნელია იმის გახსენება, რომ ანსამბლში აღარ მღერის ლეგენდარული მომღერალი ნუგზარ ფსუტური, ასევე ალექსანდრე ჯავახიშვილი, მაგრამ ანსამბლის ხელმძღვანელი, შალვა ილურიძე რუდუნებით, ერთგულებით, მაღალი პროფესიონალიზმით იღვწის. ანსამბლში დაბრუნდა გია ფსუტური, ახალი წევრიც გვყავს – სერგი თეზელიშვილი. ანსამბლს აქვს ახალი რეპერტუარი ძველ სიმღერებთან ერთად და როგორც წლების მანძილზე იყო, ახლაც მსმენელის მოწონებას იმსახურებს...

კულტურის სახლში ფუნქციონირებს ხალხური სიმღერისა და ხალხური საკრავების შემსწავლელი წრე, რომელსაც ასევე პროფესიონალი პედაგოგი დავით გაჩეჩილაძე ხელმძღვანელობს და თითოეულ მეცადინეობაზე მოსწავლე-ახალგაზრდებში კიდევ უფრო აღვივებს ხალხური საკრავების და სიმღერის სიყვარულს, შედეგიც სახეზეა. ანსამბლი წარმატებულად გამოდის სხვადასხვა კონცერტზე. ასევე ძალიან წარმატებულია ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, რომელსაც ნათია ქურთაული ხელმძღვანელობს, – მრავალი ფესტივალის ლაურეატია. გვაქვს მეორე წრეც – ქართული ხალხური ცეკვის შემსწავლელი, რომელსაც თემურ ზანგურაშვილი ხელმძღვანელობს.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მთელმა საქართველომ გაიცნო ჩვენი სამეჯლისო ცეკვების სტუდია „წეროები“. სტუდიის ხელმძღვანელმა გიორგი მჭედლიშვილმა უკვე რამდენიმე თაობა, ასე ვთქვათ, „დააფრთიანა“. ყოველწლიურად ახალი თაობები ერთვებიან და ხალისიანად სწავლობენ სამეჯლისო ცეკვებს.

– ახლახან ევროპის საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა...

– კი, ასეა და პირველი ადგილიც დაიკავეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეძლეს მსოფლიო საერთაშორისო ტურნირზე წასვლა, ისრაელში, ფინანსების არ ქონის გამო, – ვერ მოვიძიეთ სპონსორი...

– ჩვენს თაობას, რომელიც ახალგორში ცხოვრობდა, არ ჰქონდა კულტურის სახლი, რაც დიდი პრობლემა იყო...

– მაპატიეთ, შეგაწყვეტინებთ... ახლა გვაქვს, მაგრამ დასახლებაში, სადაც 2000 ოჯახი ცხოვრობს, სულ მცირე 500-კაციანი დარბაზი მაინც უნდა გვქონდეს ნორმალური სცენით, კულისებით და სხვადასხვა საჭირო ატრიბუტით... ახალი თაობები იზრდება, გლობალიზაციის ეპოქა სხვადასხვა მოთხოვნებით, შემოქმედების დონის სასიკეთო ცვლილებებით, ნაირსახეობებით ცვლის ჩვენს ყოფას...

– მოკლედ, ბედიწერასავით დაგვყვა ფიქრი და ოცნება თანამედროვე სტანდარტების კულტურის სახლზე...

– რაც გვაქვს, დავაფასოთ, საამაყოა, რომ აქაც, მცირე დარბაზში, პატარა კულტურის სახლში იზრდებიან „წეროები“, „ივერიელები“’და სხვები ჩვენი რაიონის სასახელოდ და საამაყოდ.

– კულტურის სახლი ნუგზარ ფსუტურის სახელობისაა... მაინც ვინ იყო ნუგზარ ფსუტური? – ჩვენმა თაობამ კარგად იცის, ახლ თაობას ვუთხრათ...

– ნუგზარ ფსუტური იყო, უკვე აღვნიშნე, ლეგენდრული მომღერალი. ნუგზარის ხმა, შემოქმედება საქართველოს ისტორიაში დარჩა, ისევე როგორც ილია ზაქაიძის, ჰამლეტ გონაშვილის, გომარ სიხარულიძის, თემურ ქევხიშვილის. ამასთან, ნუგზარი იყო კარგი ადამიანი, ქვეყნის უანგაროდ მოყვარული, თავმდაბალი, უბრალო... სიმღერის გარდა ის წერდა ლექსებს, რომლებზეც შემდეგ მელოდიებს ქმნიდა, ამუშავებდა ძველ ხალხურ სიმღერებს და ახლებსაც ქმნიდა... პატიოსანი კაცი იყო, წესიერი... ამიტომ იყო ლეგენდარული...

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ახალი 2024 წელი მივულოცო ჩვენს ხალხს, სიკეთის, სიხარულის, სასწაულების მოხდენის წელი ყოფილიყოს თითოეული ახალგორელისათვის.

ნისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის შესახებ. მან ურთულეს პოლიტიკურ მოცემულობაში, როდესაც ქვეყნის გარშემო ტყვიების წვიმა წარღვნას ჰგავდა, ქვეყანაში მშვიდობა და ეკონომიკური წინსვლა შეინარჩუნა... ღმერთმა ქნას, ეს ცვლილებები პოზიტიურად წაადგეს ჩვენს ქვეყანას.

მე კი მაინც ჯიუტად ვფიქრობ, რომ ყინულის ფენა, რაც საქართველოს გაერთიანების საქმეს აფერხებს, წელს, სწორედ 2024 წელს დაიწყებს გალღვობას.

სკოლაში გატარებული თითოეული დღე ბედნიერებაა

ბედნიერებაა, როცა საყვარელ საქმეს აკეთებ და მას შენი ცხოვრების ლამაზ ნაწილად აქცევ. თამარ ნიაურს, მიუხედავად იმისა, რომ იურისტობაზე ოცნებობდა, პედაგოგიურ ინსტიტუტში მოუწია სწავლა. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა ისტორია-ფილოლოგიის განხრით... მაშინ, როგორც თავად იხსენებს, დიდი ბედნიერება ედო ხელისგულზე: მშობლიურ და უსაყვარლეს სოფელში იკოთში ცხოვრობდა, სიყვარულით შექმნა ოჯახი და პირველი პედაგოგიური ნათლობაც ახმაჯის სკოლაში მიიღო... ახალდამწყები მასწავლებელი იაკობ გოგებაშვილის უკვდავი დედაენით ასწავლიდა პატარებს წერა-კითხვას...

წლებმა წაიღო ბევრი იმდროინდელი სიხარულიც, წარმატებაც და ისტორიის ნაწილად აქცია იმ საზარელი 2008 წლის აგვისტოსავით...

შვილები გაიზარდნენ. დღეს თამარი მეუღლესთან მერაბ ბულბუთაშვილთან, ქალ-ვაჟთან მარიამთან და დავითთან ერთად წეროვნის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს და ახალდაბის საჯარო სკოლაში მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად უკვე მეთოთხმეტე წელია...

– ბავშვზე ყოველთვის ახდენენ მასწავლებლები გავლენას და „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“...

– მართალია. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობის ოცნება იურისტობა იყო, ჩემზე ძალიან დიდი გავლენა ჩემმა პირველმა მასწავლებელმა ლამარა ოსიშვილმა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა თამრიკო გიგაურმა მოახდინეს... დღესაც გუშინდელივით მახსოვს მათი თითოეული სიტყვა, გაკვეთილის მიმდინარეობა, მანერებიც კი... რა ეცვათ, თმებს როგორ ივარცხნიდნენ... ჩემთვის სამაგალითონი იყვნენ და დღესაც ასეა... მე მასწავლებელი ვარ, გამოცდაც წარმატებით ჩავაბარე და სკოლა, თითოეული დღე აქ გატარებული ჩემთვის ბედნიერებაა.

ახალდაბის საჯარო სკოლა, ვფიქრობ, ერთ-ერთი არაჩვეულებრივი სკოლაა, სადაც უმთავრესი და ყველაზე მნიშვნელოვანი თბილი, მოტივირებული, ხალისიანი გარემოა, რომელიც მომავალი თაობისადმი განსაკუთრებული ზრუნვის, მათთვის საჭირო განათლების მიღების, საქმისადმი განსაკუთრებული სიყვარულის და პასუხისმგებლობის გარემოა... ეს ყველაფერი სკოლის ხელმძღვანელის ნუგზარ ჩაბოშვილის სწორი, ჭეშმარიტი პედაგოგიური ალღოს, ბავშვებზე ზრუნვის ღრმა ფიქრიდან და დამოკიდებულებიდან მოდის. სკოლაში სრული კომფორტი გვაქვს პედაგოგებსაც და რაც უფრო მნიშვნელოვანია – მოსწავლეებსაც.

– განათლების მინისტრი რომ იყოთ, რას შეცვლიდით?

– უპირველესად – სახლმძღვანელოებს... ჩემთვის პირადად მიუღებელია, რომ ქართველმა ბავშვმა არ იცოდეს ილია, აკაკი და მათ შესწავლაზე მეტი საათები ჰქონდეს დათმობილი უცხოელი მწერლების შემოქმედებას. რა თქმა უნდა, ბავშვმა უცხოელი მწერლები და მათი ნაწარმოებები უნდა იცოდეს, მაგრამ მშობლიურის ხარჯზე – არა და არა.

– მშობლები ძალიან კმაყოფილები არიან ახლახან ჩატარებული თქვენი ღონისძიებით...

– ეს ღონისძიება უფრო საახალწლო იყო, მაგრამ მეტი შრომა სკოლის ხელოვნების მასწავლებელმა ირინა მარტიაშვილმა გასწია... მართლაც ლამაზი გამოვიდა... ჩემი სადამრიგებლო კლასია მერვე... კლასის დამრიგებელი, რომ იტყვიან ლუპის ქვეშ არის, ჩვენ ბავშვებიც გვაკვირდებიან და მშობლებიც... ბავშვი ყველაზე მეტად ხვდება სად იწყება სიყალბე, სიცრუე და ეს მის ცხოვრებას საშინელ დაღს ასვამს. მერე ბავშვის ნდობის დაბრუნება ძალიან ძნელია, რთულია... ბავშვთან თუ გულწრფელი ხარ, თუ თქვენ შორის სიყვარულით გამთბარი ურთიერთობებია, ყველაფერი რიგზეა. ბავშვს არ უნდა ატკინო გული, ღირსება უნდა დაიცვა მისი... ზოგჯერ მშობლები საიდუმლოსაც გვიმხელენ თავიანთი შვილის შესახებ და მასწავლებლის უფრო სჯერათ ხან ბავშვებს. შეიძლება ბავშვმა ყველა საგანი 10-იანზე ვერ ისწავლოს, მაგრამ მას ჰქონდეს ხატვის, სპორტის, თუნდაც ქარგვის ნიჭი... ესეც ძალიან კარგია, უნდა მივცეთ საშუალება, გააფართოოს ეს მოცემულობა...

სადამრიგებლო კლასთან ურთიერთობა ოჯახივით არის, ეს ჩვენი ოჯახია, ხშირად მიფიქრია, რომ არ გამომეპაროს ბულინგის, ან რაიმე შემაშფოთებელი ამბის თუნდაც მცირე დეტალი.

– რა დაგრჩათ სათქმელი?

– „ჩემი თვალხატულა მერცხლები“, თხუთმეტი ღიმილიანი და სიყვარულით სავსე მზერა – ასე იწყება ჩემი ყოველი დილა, რომელსაც თვითონაც მოუთმენლად ველოდები. როგორ შეიძლება სიცოცხლე არ გიხაროდეს, როდესაც ამდენი მოსიყვარულე „ცელქუნია“ შემოგცქერის თვალებში და სულს გითბობს. მათთან ერთად ბევრ საინტერესოს ვსწავლობ, სწავლა ხომ ყოველთვის შეიძლება.

მინდა, ჩემმა აღზრდილებმა შეიგრძნონ გამარჯვების სიხარული, იყვნენ მოტივირებულები შემდგომი წარმატებებისთვის

გია მიდელაშვილი

ამ დღეებში საქართველოს ქალთა ფედერაციის მიერ მოწყობილ ზამთრის ტურნირზე წარმატებულად ითამაშა ახალგორის საფეხბურთო სკოლის გოგონათა გუნდმა – 6 თამაშიდან ოთხი მოიგო. მაყურებლისა და გულშემატკივარის სიმპათია დაიმსახურა გუნდის კაპიტანმა, შარშან საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულმა ანა დოლიშვილმა. საუკეთესოდ ითამაშეს აგრეთვე მარი ღუნაშვილმა, მარი გვრიტიშვილმა, ბარბარე ბიტიაშვილმა, ლიზი ლომაურმა და სხვებმა. გუნდაში 20 გოგონაა, რომლებიც ძალზე ხალისიანად ვარჟიშობენ სპორტის ამ სახეობაში.

საფეხბურთო სკოლა წეროვნის დევნილთა დასახლებაში ფუნქციონირებს 2017 წლიდან და მას გია მიდელაშვილი ხელმძღვანელობს, რომელიც სკოლის სხვა წარმატებებზეც გვესაუბრა.

– საყოველთაოდ არის ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებისა და მოზარდების სპორტულ აღზრდას, რომელიც უპირველესად ჯანსაღი ცხოვრების წესია, ბავშვობის ასაკში სპორტული წარმატებები კი მოტივაციაა შემდგომ განვითარებასა და სახელოვან სპორტსმენებად ჩამოყალიბებაში. პირადად მეც და მწვრთნელები: ირაკლი ბალაშვილი, გოჩა ბუნტური, ვლადიმერ თათარაშვილი, გიორგი პავლიაშვილი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენს დასახლებაში მცხოვრები ბავშვები დაინტერესდნენ ამ ულამაზესი სპორტით, ივარჯიშონ, ისწავლონ, შეიგრძნონ გამარჯვების ფასი, ასახელონ რაიონიც და თვითონაც იყვნენ მოტივირებულები შემდგომი წარმატებებისათვის.

შარშან მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ ჩემპიონატში 2009 და 2010 წელს დაბადებული ბავშვების გუნდმა /ბიჭებმა/ პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო 2013-2014 წელს დაბადებულებმა – მეორე ადგილი.

გოგონების გუნდი შარშან გამოდიოდა, რა თქმა უნდა, ახალგორის სახელით, საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში, სადაც 15 გუნდი მონაწილეობდა და ძალზე კარგად ითამაშეს, მნიშვნელოვანი წარმატებებიც მოიპოვეს. ასევე

დასასრული მე-12 გვერდზე

მონატრება

ლელა ზაქიძე

გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. ერთი წელი... ორი... ოთხი... თხუთმეტი... იგივე სიტუაცია, ჩვეული სიცარიელე დაბის ყველა ქუჩაზე, გულში, ყოველ კუთხე-კუნჭულში. აქაც და იქაც. უერთმანეთოდ დაკარგული, გახუნებული, უღიმღამო დღეები. გაუცხოებული ყოფილი მეზობლები.

– სად ვიმარხები?! – 80 წლის ტასო ბაბოს თავში შემორტყმული ხელი.

– აქ რატომ ვიზრდებით? – პატარების პასუხგაუცემელი კითხვა...

– ბაბო, შენი პაპა სოფელ მშველიეთშია დაბადებული (არის ასეთი სოფელი ახალგორის რაიონში)... – ვეუბნები შვილიშვილს.

– გავიგე, ბაბო!

ერთი თვის შემდეგ:

– ბაბო, შენი პაპა სად დაიბადა?

– შვეიცარიაში!.. არა, არა, შემეშალა, – შვედეთში!..

ახლა ჩემ მიერ თავზე შემორტყმული მარჯვენა...

ჩავდებთ კი ოდესმე იმ კოდს ჩვენს შვილიშვილებში, რაც ჩვენ გვქონდა? – ახალგორის, ჩვენი მიწის სიყვარული რომ ჰქვია სახელად.

და მაინც ვცდილობთ, ერთმანეთს ვეძებთ, ვეფერებით, გულში ვიხუტებთ მიმობნეული ქსნის ხეობელები ერთმანეთს. აქაც გვაქვს, წეროვანში, ჩვენი დაბის ორეული უბნები: ბარდანაული, ახალშენი, უკანუბანი. „მაგნიტის“ უკან ყვავილნარში ჩაფლული პატარა ქოხია – ახალგორის „ბირჟა“. კედლიდან სევდიანად მოჩანან ლარგვისის, წირქვლის, კაბენის ეკლესიების, დაბის პეიზაჟები, კედელზე გაკრული ფარდაგი, თაროზე შემოდებული დოლი და გარმონი. გარეთ, სარზე თავქვე დამხობილი ცხავატური ქოთანი. აქ ხდება ცოცხლების და წასულების ჭიქით და ტკბილ-მწარე სიტყვით გახსენება.

რატომ არსებობს დანანების სინონიმი ,,ეხ!“ და რატომ გახდა საჩვენო? – ერთმანეთს, გამვლელ-გამომვლელთ, კითხვაჩამდგარი თვალებით შესცქერიან ქვემოთ ჩამომჯდარი ახალგორელები.

1 ნოემბერი, 2023

«მზისკენ შაababით კარები»

ამირან ბიორგის ძე ბაშარული

ამ სათაურის ქვეშ ერთ უკარგეს ადამიანზე მინდა დავწერო-ამირან ბაშარულზე, რომელსაც ყველა ჩვენებური კარგად იცნობდა.

„თუ ყოფილხართ ქსნის ხეობის მთებში, სადაც დაირწა პირველი აკვანი ცხრაზმის ერისთავებისა და გინახავთ უკანუბანი, მახიარეთი, დაბაკნეთი (ბაშართი), მიხვდებით, რომ იქ დაბადებულ-გაზრდილი კაცი არ იქნება მხდალი, უნიჭო, არც გამქცევი და არც წამქცევი... მათგან გამორჩეულად ერთი კაცური კაცი ამირან ბაშარულია... ჭიპმოუმძვრალი თელის აკვანში ჩააწვინეს, ცხვრის ტყავის არტახები გადაუჭირეს და მერაბი დაარქვეს, მაგრამ მალევე მიიჭრა კალთააწეული ჩოხით, ხანჯალზე ხელდადებული ნათლია და ბავშვს ამირანი დაარქვა. მას შემდეგ მითიური ამირანივით ამირანობს და მისგან განსხვავებით ორმოცდარვა წელი ნაბადში გაატარა...“ – აი, ასე წერს ისტორიკოსი ვ.ქენქაძე ამირან პაპაზე, რომელსაც მეც ვიცნობდი. მოხუცობის ბოლო წლებში ახალგორში, ეკლესიასთან ახლოს ცხოვრობდა. აგვისტოს ომამდე რამდენიმე წლით ადრე სკოლაში პროექტზე ვმუშაობდით და სახალხო მთქმელის ლექსები დაგვჭირდა. ვესტუმრეთ მე და ჩემი მოსწავლეები ამირან პაპას, გულთბილად მიგვიღო, ლექსები ზოგი ზეპირად გვითხრა და ზოგიც გაზეთებიდან წაგვაკითხა. წამოსვლის წინ ტკბილად დაგვლოცა და გამოგვაცილა.

აგვისტოს ომსაც შეესწრო ამირან პაპა და ფრეზეთში დევნილობასაც, თუმცა ვერ გასძლო და ისევ მშობლიურ ხეობას დაუბრუნდა.

ლექსად დაწერილი ანდერძის მიხედვით, დოლიანთ სასაფლაოზე დაკრძალეს... განისვენებს ამირან პაპა მშობლიურ მიწაზე და ყოველ დილით ხეობის მთებიდან ამოსული მზე თბილ სხივებს უგზავნის, აკი ასე უყვარდა მზე! მისი შთამომავლები და მომგონებლები კი, უკლებლივ, ამ მადლიანი კაცის შესანდობარს ამბობენ.

ნინო დოლიშვილი

ამირან ბაშარულის ლექსები

დავბერდი, ჩემო შვილებო

დავბერდი, ჩემო შვილებო,
ახლა თქვენ იცით სახლისა,
ამას ვერ იტყვით ჩემზედა,
ვიყავ არაფრის მაქნისა.
დაგზარდეთ, დაგაბინავეთ,
მასხარ არ გავხდი ხალხისა.
ალალი ლუკმით
დაგზარდეთ,
არვისთვის მამიპარია,
ნაქურდალი და არამი
სახლში არ შამიტანია.
ანდერძს გიტოვებთ,
შვილებო,
არ შეარცხვინოთ გვარია,
ალალი ლუკმა ჭამევით,
არამი მუდამ მწარია”.

☞

ცხავატის მაცხოვრის ეკლესია – ჩვენი ეროვნული საგანძური

დავით ახლოური

ცხავატი ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელია, მდებარეობს ლარგვისის თემში, ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ახალგორიდან 20 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 20 კმ.-ზე. სოფელში ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე შესანიშნავი ძეგლია, მათ შორის მაცხოვრის ეკლესია, რომელიც „ჩუმაანთ უბანში“ მდებარეობს და VIII-IX საუკუნეებით თარიღდება (გვიანდელი გადაკეთებებით). აშენებულია ფლეთილი ქვითა და ქართული აგურით. იატაკის დასაგებადაც ქართული აგურია გამოყენებული. ტაძარი გარედანაც და შიგნიდანაც თეთრადაა შელესილი.

XIX საუკუნეში ტაძრის სამხრეთით და ჩრდილოეთით მდებარე სარკმლები გაუგანიერებიათ. სამრეკლო ეკლესიის დასავლეთ კეხზეა დადგმული. აღმოსავლეთ სარკმლის თავსართად შირიმის ქვაზე ამოკვეთილია ტოლმკლავა ჯვარი.

ეკლესიის სამხრეთით გაჭრილ სარკმლის თავზე, კედელს თითქმის მთელ სიგრძეზე გაუყვება თარო. დასავლეთის ფასადი სადაა, ჩრდილოეთის ფასადზე კი კამარის ქუსლი შეიმჩნევა.

აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებულ ქვის ფიქალზე (93/31 სმ.) განთავსებულია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, სადიდებელი „ერის ცხავატისა“ და ხელოსან ინა კალატოზისა, რომელსაც ნოდარ შოშიაშვილი და გიორგი ოთმეზური, პალეოგრაფიულ ნიშნებზე დაყრდნობით X საუკუნით ათარიღებენ, ხოლო ჯონდო გვასალია - IX-XI საუკუნეებით...

ქხატულო „სოად“ ნე
რიცხვატიდაინაკა
ლატზიანშენაფენაი
„1. ქ. ხატო ღ(მრ)თ(აები)ს(ა)ო ას(იდე)ნ ე
2. რი ცხავატი და ინა კა
3. ლატ(ო)ზი ამენ. შ(ეინწყალე)ნაფენა ი.“

ეკლესიის გარშემო ყორე გალავანია, გალავნის გარეთ საფლავის ქვებია.

თავის დროზე ექვთიმე თაყაიშვილს მაცხოვრის ეკლესიაში ორი ჯვარი უნახავს. მისი აღწერით, ფოთლოვანი ოქროს ორნამენტით შემკობილი პირველი ჯვრის წინა მხარეზე მაცხოვრის გამოსახულებას ამშვენებდა წარწერა: „იესო ქრისტე“. ცენტრში ფრთოსანი ანგელოზი და სახარებით ხელში ლუკას პორტრეტი... უკანა მხარეს ვერცხლის ფურცელზე XIV საუკუნის მხედრული წარწერა ყოფილა: „ქ. მაცხოვარი ცხავატისა ქვენიფნეველს: რიზია ერისთავს: შეუწირავს: ორი საკომლო მამული ზენუბანს: მამული: მთითა:. და ბარითა. ცხავატის ყ(ოვ)ლად: წმიდისათვის: ბასიანში: დავტყვევდი: და:. შენის საქონლითა:. თავი დავიხსენ: არა მებატონემ:ო“.

რიზია ქვენიფნეველი იმ ქართველთა შორის იყო, რომელიც ბაგრატ მეხუთემ თემურ ლენგის წინააღმდეგ მებრძოლ სომხებს მიაშველა. რიზია და მისი მედროშე სეფე ყმა, ხოზოეთელი (ქარჩოხის ხეობა) ოქროპირ გამხიტაშვილი ბასიანში ტყვეთა შორის აღმოჩნდნენ. ოქროპირს „სიზმრად უნახავს სოფელ ხოზოეთის წმინდა გიორგის სალოცავი და თვით წმინდანი, რომელსაც გაუმხნევებია ყმა და ბატონი. ტყვეები მხურვალე ლოცვაში ატარებდნენ დღეებს, საშველი კი არსაიდან ჩანდა. ბოლოს ბატონს ოქროპირთან ერთად შეუფიცნია: „ხოზოეთის წმინდა გიორგი, შენი შეწევნითა და მეგზურობით, თუ ტყვეობას დავეხსენით, მაშინ მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე შენი მლოცველნი და მადიდებელნი ვიქნებითო”. ტყვეობიდან თავის დახსნის ერთადერთი გზა გამოსასყიდის გადახდა იყო. ამ მიზნით რიზიას ოქროპირი საერისთავოში გამოუგზავნია. თუ არ დაბრუნდებოდა, მტრის წინაშე საკუთარი სისხლის ფასად აგებდა პასუხს. ქვენიფნეველის მედროშემ ერისთავის სასახლეში მიიტანა ბატონის უსტარი. მთელ სახლეულობას და სახევისთაოების ეკლესია-მონასტრებს დიდძალი სიმდიდრე გაუღიათ რიზია ქვენიფნეველის გასათავისუფლებლად, მათ შორის ცხავატის მაცხოვრის ეკლესიასა და ხოზოეთის წმინდა გიორგის... ოქროპირმა თათარ-თურქმანებს მიართვა განძეულობა და ტყვეები სიკვდილს გადაურჩნენ.

მეორე ჯვარი, რომელზეც ექვთიმე თაყაიშვილი საუბრობს, მთლიანად ვერცხლის ყოფილა, მასზე ღვთისმშობელია ყრმით. ქვემოთ, წმინდანთა ფერხთით - ჯვარცმა... გვერდებს ანგელოზები ამშვენებდა... ჯვრის უკანა მხარეს წმინდა გიორგის გამოსახულებასა და XVII საუკუნის ხუცურ წარწერაზეა მინიშნება.

ცხავატის მაცხოვრის ეკლესია ქართველი ერის ეროვნული საგანძურია.

☞ **სულ დაიცალა ცხრაზმის ხეობა**

სულ დაიცალა ჩვენი სოფელი
ტიალად დარჩა მთა და ბუნება,
თუღა ბაშართში ვინმე იცხოვრებს,
ისეთი კაცი არ მეგულება.
გაღმა-გამოღმა ნასოფლარები
გადმოსცქერიან მდინარე ქსანსა,
უკანამხარე იყო მდიდარი
როცა წველიდნენ ექვს ფარა ცხვარსა.
აღარც ცხვარია, აღარც ხალხია,
ადგნენ, წავიდნენ გაუდგნენ გზასა,
ფრეზეთს ჩავიდნენ საცხოვრისადა
თუ გაუძლებენ იქაურ ქარსა.
სულ დაიცალა ცხრაზმის ხეობა
კაცი არ დარჩა სანთლის ამნთები,

დასასრული მე-11 გვერდზე

7 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ – ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲨᲝᲑᲐ

წმინდა მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით, 7 იანვარს ქრისტეს შობა აღინიშნება.

შობის დღესასწაულზე მორწმუნეთათვის 40-დღიანი მარხვა სრულდება, დღესასწაულის შემდეგ კი, ორი კვირის განმავლობაში, 18 იანვრამდე, მსგეფსია, რომლის დროსაც მრევლს ოთხშაბათსა და პარასკევს არასამარხვო საკვების მიღება შეუძლია. 18 იანვარი, ნათლისღების წინა დღე – მარხვაა.

წმინდა სახარების მიხედვით, თოთხმეტი წლის ქალწულ მარიამს მღვდელმთავარმა მეურვედ დაუნიშნა ხურო იოსები, 80 წლის მოხუცებული. იუდეველთა ტრადიციისამებრ, იმისათვის, რომ ქალწულ მარიამს კანონიერი ადგილი დაეკავებინა მეურვის ოჯახში, ის ფორმალურად დაწინდეს იოსებზე. შერთვამდე ქალწული სასწაულებრივად მიუდგა სულიწმინდისგან. იოსები გაოცდა - ეგონა, მარიამმა ქალწულობის აღთქმა დაარღვია. ამის გამხელა არ უნდოდა და გადაწყვიტა, ფარულად გასცლოდა მას. ქალწულმა მარიამმა ხარების დღიდანვე იცოდა, მაცხოვრის მშობელი რომ უნდა გამხდარიყო, მაგრამ უდიდესი სიმდაბლის გამო ამის შესახებ იოსებისთვის არ უთქვამს.

ძილად მისულ ხუროს უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: "იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინინ მიყუანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ რომელ-იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს. შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი იესო, რამეთუ მან იხსნეს ერი თვისი ცოდვათა მათთაგან" (მთ. 1:20-21). ანგელოზის ბრძანებისამებრ, იოსებმა წაიყვანა მარიამი და "არა იცოდა იგი" (მთ. 1:25).

რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა სამხედრო და საგადასახადო საქმეების მოწესრიგების მიზნით იმპერიაში საყოველთაო აღწერა გამოაცხადა. იუდეა იმხანად რომის პროვინცია იყო. იუდეველთა წესისამებრ, ყველა უნდა გამოცხადებულიყო იმ ქალაქსა თუ სოფელში, საიდანაც იყო წარმოშობით. რაკი იოსები და ქალწული მარიამი წმინდა წინასწარმეტყველი მეფის დავითის შთამომავლები იყვნენ, დაბა ბეთლემში, დავითის სამშობლოში ჩავიდნენ. აღწერის გამო ბეთლემის სასტუმრო ხალხით იყო სავსე და იოსებმა ადგილი ვერ იშოვა, ამიტომ მარიამთან ერთად თავი შეაფარა ქალაქის განაპირას მდებარე პატარა გამოქვაბულს, რომელშიც მწყემსები ავდარში საქონელს შერეკავდნენ ხოლმე. სწორედ ამ გამოქვაბულში იშვა შუაღამისას მაცხოვარი. ბიბლიის განმმარტებლები გვიხსნიან, რომ ღამე მოასწავებს საიდუმლოს. ქრისტეს შობა ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელი საიდუმლოა, სასწაულია, რომლის მსგავსი არ იცოდა დედამიწამ. ქალწულმა მარიამმა სასწაულებრივად, უმტკივნეულოდ, უხრწნელად შვა ძე, თვითონვე აიყვანა ხელში, შეახვია წინასწარ მომზადებულ სელის ჩვრებში და ჩააწვინა ბაგაში, საიდანაც პირუტყვი იკვებებოდა. გამოქვაბული ნათლით იყო გაბრწყინებული. მაცხოვარმა შობის დღიდანვე გვიჩვენა სიმდაბლის მაგალითი: მთელი სამყაროს შემოქმედმა და მეუფემ საქონლის ბაგაში ჩაწოლა ინება, მიიღო ნებსითი სიღარიბე, ხოლო სელის ჩვრებში რომ გაეხვია, ამით თავისი, როგორც ადამიანის, ღვთის ნებისადმი მორჩილება გვიჩვენა.

მწყემსების გამოცხადება

შობის ღამეს მწყემსებს, რომლებიც ადერის კოშკში იყვნენ დაბანაკებულნი და თავიანთ სამწყსოს დარაჯობდნენ, ბრწყინვალე გაბრიელი გამოეცხადა. მთავარანგელოზმა მათ მაცხოვრის შობა ამცნო და მისცა ნიშანი - მას შეხვეულს და ბაგაში მწოლიარეს იპოვითო. იმავე წამს მწყემსებმა იხილეს ანგელოზთა სიმრავლე და ესმათ მათი საკვირველი გალობა: "დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება" (ლკ. 2:14). მწყემსებმა სასწრაფოდ მიაშურეს ბეთლემის გამოქვაბულს და იხილეს უდიდებულესი დიდება, ყრმა მაცხოვარი ღმერთად ირწმუნეს და თაყვანი სცეს. ეკლესიის მოძღვრები განგვიმარტავენ, რომ მწყემსებად უნდა ვიგულისხმოთ უბრალო ადამიანები, რომლებიც წმინდა გულით ადიდებენ ღმერთს.

მოგვთა თაყვანისცემა

ქრისტეს შობის დროს, ჰეროდეს მმართველობისას, იერუსალიმში ჩავიდნენ აღმოსავლელი მოგვები (აქ: სწავლულები, მწიგნობრები), რომლებმაც ზედმიწევნით კარგად იცოდნენ ასტრონომია. მათ განაცხადეს: იუდეველთა მეუფის ხილვა გვსურს - მისი ვარსკვლავი ვიხილეთ აღმოსავლეთში და თაყვანის საცემად ჩამოვედითო. ჰეროდემ დიდი მეფის შობის ამბავი რომ შეიტყო, შეძრწუნდა. მასთან ერთად შეძრწუნდა მთელი იერუსალიმი. ჰეროდემ უკანონოდ, გაიძვერობითა და ფლიდობით მოიპოვა ტახტი და მისი დაკარგვისა ეშინოდა. ამიტომაც შეაძრწუნა დიდი მეუფის შობამ; იერუსალიმელთათვის კი მეფის სახელი დასჯას, სისასტიკეს, სისხლისღვრას უკავშირდებოდა, ამიტომ ახალი მეფის ხსენებაც არ უნდოდათ. ყრმას რომ იპოვით, მეც შემატყობინეთ მისი ადგილსამყოფელი, - სთხოვა ჰეროდემ მოგვებს, - რათა მეც ვეახლო და თაყვანი ვცეო.

მოგვები წავიდნენ. ვარსკვლავი (იოანე ოქროპირის განმარტებით, ეს იყო ანგელოზებრივი ძალა) მათ წინ გაუძღვათ და იმ სახლის თავზე გაჩერდა, სადაც დაბინავდნენ წმინდა იოსები, ქალწული მარიამი და ყრმა მაცხოვარი. მოგვები შევიდნენ სახლში, იხილეს ყრმა იესო და ქალწული მარიამი, დაეცნენ მათ წინაშე, თაყვანი სცეს მაცხოვარს და შესწირეს ძღვენი: ოქრო - ვითარცა დიდ მეუფეს, გუნდრუკი - ვითარცა ღმერთს და მური (სქელი სურნელოვანი ზეთი, საცხებელი, რომელსაც აღმოსავლეთის ქვეყნებში მიცვალებულთა დაკრძალვის დროს იყენებდნენ) - ვითარცა მოკვდავს.

შემდგომში მოგვებმა თავ-თავიანთ სამშობლოში იქადა-

გეს ქრისტიანობა და მოწამებრივად აღესრულნენ. ცნობილია მათი სახელები: მელქიორი (სპარსი), გასპარი (არაბი) და ბალთასარი (ეთიოპიელი). ეკლესიის მოძღვრები განგვიმარტავენ, რომ მოგვების სახით მთელი სამყაროს მორწმუნე ინტელექტუალები ადიდებენ და თაყვანს სცემენ ღმერთს.

ნათლისღება უფლისა

ნათლისღება ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაულია. ნათლისღების დღესასწაულზე და მის წინა დღეს ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში სრულდება წყალკურთხევა დიდი აიაზმის წესით.

ნაკურთხი წყალი ურიგდებათ მორწმუნეებს. ამ წყალს უფლის მიერ კურთხეული იორდანის მადლი ეძლევა და, ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით, არ იხრწნება. ის შეგიძლიათ მთელი წლის განმავლობაში შეინახოთ და განსაცდელისა და ავადმყოფობის დროს მიიღოთ.

"ნაკურთხი წყალი — დიდი აიაზმა ოჯახებში მთელი წლის განმავლობაში უნდა იყოს შენახული და ყოველდღიურად, უზმოზე უნდა იღებდნენ მას.

სიტყვა — აიაზმა წარმოიშვა ბერძნული სიტყვისაგან — „აგიოს" — წმინდა; „მეგალი აიაზმა" — ითარგმნება, როგორც „დიდი სიწმინდე". ამიტომ ეს დიდი სიწმინდე ყოველ თვის უნდა გქონდეთ სახლში და მიიღოთ მადლი ღვთისა,"- უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II (19 იანვარი, 2009 წ.).

ნათლისღება — ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანიაში სიმდაბლით იოანე ნათლისმცემლისგან ნათელიღო და წყალი ხრწნილებისაგან განწმიდა, რათა მის მიერ ცოდვათა მოტევება მოენიჭებინა ჩვენთვის.

მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სიწმიდე ან, როგორც უცოდველი, განწმედას კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელიღო ჩვენი შეწევნისათვის, შემუსრა ეშმაკი და განწმედილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა.

ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება — ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა : „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ".

თანასოფლელები, მეგობრები და მეზობლები მწუხარებით უსამძიმრებენ ზოია ფსუტურს, ნინო და ვალო დოლიშვილებს მეუღლისა და მამის

ვაჟა დოლიშვილის

გარდაცვალების გამო.

ნათელი დაადგეს ვაჟას კეთილ სულს, ხოლო მის ოჯახს, ახლობლებს კი გამძლეობა მიანიჭოს უფალმა.

«მზისკენ შააბით კარები»

ამირან ბაშარულის ლექსები

მე-9 გვერდიდან

არ დარეკავენ ამაღლების ზარს,
არ დაიკვლება თეთრი ბატკნები.
გარდაცვლილები მთაში დავტოვეთ,
კლიტით დავკეტეთ ყველამ
სახლები,
მე აქ მოვკვდები ახალგორშია,
დოლიანთ ველზე დავიმარხები.

ანდერძს გიტოვებთ, შვილებო!

მოდით, მომხედეთ, შვილებო,
ექიმთან წამიყვანევით,
იქნებ იქ მოვკვდე, ან მოვრჩე,
ისევ აქ მომიყვანევით.
დამმარხეთ დედმამასთანა,
ზედ მიწა დამაყარევით,
გულზე არაყი დამასხით,
იმითი შემიწყალევით,
ზაბორი კოხტად დამადგით,
მზისკენ შააბით კარები,
ზედ დაახატეთ ქვაზედა,
ჩემი ცხენი და ხარები.
ცუდი არ ვიყავ სოფელში,
სუყველას შავებრალები,
ზოგს დავუთალე კოვზები,
ზოგსაც კი თითისტარები,
ჩამასვენებენ კუბოში,
დამიტირებენ ქალები,
ბებერი მრჩება მარტოკა,
ეგ არის შესაბრალები,
ცოდოა ქვრივმა იაროს,
არ მოუხდება შავები,
მაგანაც დიდხანს იცოცხლოს,
მეც იქით დავეხმარები."

ჯემალ ბაშარულს

მადლობელი ვარ ლექსისთვის,
მთიელო დაბლა ბარისა,
მეამაყება, მახარებს,
რომა ხარ ჩვენი გვარისა.
გამომაფხიზლე მოხუცი,
მძლავრი ხმა მესმა ზარისა,
სიკვდილზე აღარა ვფიქრობ,
რწმენა გამიჩნდა ხვალისა.
ჭკუა-გონებით სავსე ხარ,
ლამაზი სარო-ტანისა,
ნებისყოფა გაქვს უდრეკი,
ქედი კი – ლაბა ხარისა.
მინდა ქვეყანამ გაიგოს,
ირემი ბარშიც ბღავისა.

2007 წელი.

***

დალოცვილო ქრისტე ღმერთო,
დადიოდი მთა და ბარად,
ზოგი ოქროს მჭედელია,
ზოგმა ჩხირიც ვერ გათალა.

მინდა, ჩემმა აღზრდილებმა შეიგრძნონ გამარჯვების სიხარული, იყვნენ მოტივირებულები შემდგომი წარმატებებისთვის

მე-7 გვერდიდან

პირველი ადგილი დაიკავეს მცხეთა-მთიანეთის მიერ გამართულ ტურნირში, სადაც 4 გუნდი მონაწილეობდა.

2011-12 წელს დაბადებულმა ბიჭებმა კი ცნობილი ფეხბურთელის, კალოევის თასზე მოწყობილ ტურნირში გაიმარჯვეს. 2023 წელს საუკეთესო ფეხბურთელებად დასახელდნენ გიორგი ოდიშვილი /2009წ/, ლაზარე მახარაშვილი /2013 წ/.

მერაბ გელაშვილის ახალი წარმატება

გასულ წელს მიღწეული წარმატებისათვის საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაციის 8 სპორტსმენს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამით დაენიშნათ სტიპენდია, რაც ძლიერი მუხტი და მნიშვნელოვანი მოტივაციაა სპორტის განვითარების და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების საქმეში.

დაჯილდოებულ 8 სპორტსმენს შორისაა ახალგორელი მერაბ გელაშვილი

რომელიც საქართველოს კარატეს გუნდის წევრია. ის 19 წლისაა, სწავლობს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე.

როგორც საქართველოს ნაკრების წევრი, ევროპის ყველა შეჯიბრზე გამოდის +84 წონით კატეგორიაში. ამჟამად იმყოფება შეკრებაზე, რათა 9-11 თებერვლის ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადოს, რომელიც 2024 წელს საქართველოში, კერძოდ თბილისში გაიმართება.

ჩვენმა სპორტსმენებმა საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო ტურნირში წარმატებით იასპარეზეს

2024 წლის 27-28 იანვარს ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში. ჩვენი სასპორტო სკოლიდან წარმატებით იასპარეზეს: ვალერი ბაშარულმა, ჯონი ხეთაგურმა, გიგა ჯარმელიშვილმა და დავით ბეგაშვილმ, რომლებმაც მოიპოვეს ფინალურ ეტაპზე ჭიდაობის ლიცენზია.

ახალგორის სასპორტო სკოლა ულოცავს მათ ამ გამარჯვებას და კიდევ უფრო მეტ წინსვლას და წარმატებას უსურვებს!